სიცოცხლე მარადიულია

თამაზ ბაციკაძე
სტუ-ს სრული პროფესორი

აღმოსავლური რელიგიების (ინდუიზმი, ბუდიზმი, სიკხიზმი და სხვ.) ძირითადი პრინციპი გამოისახება იდეაში, რომლის თანახმადაც ადამიანის ინდივიდუალობის გამომსახველი სამშვინველი სხეულისაგან განცალკევებულად არსებობს და ვითარდება განსხეულებათა უწყვეტი ჯაჭვის საშუალებით. ამ მოვლენის რეინკარნაცია ეწოდება. რეინკარნაცია განიხილება როგორც ევოლუციური პროცესის ნაწილი, რომლის მიზანი მატერიალური სამყაროსა და სიცოცხლის კანონების შესწავლაში მდგომარეობს, რაც საბოლოოდ ანთავისუფლებს სულს დაბადება-გარდაცვალების მომაბეზრებელი ციკლისგან.

რეინკარნაციის შესახებ სწავლებაში ერთერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს კითხვა, იმის შესახებ თუ რატომ სხეულდება სული მაინც და მაინც მოცემულ სხეულში და არა სხვაში. ამ კითხვაზე პასუხს იძლევა თეორია მიზეზისა და შედეგის შესახებ. მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულების კანონი კარგად არის ცნობილი ფიზიკურ სამყაროში მიმდინარე პროცესებისათვის. რელიგიურ ენაზე აღმოსავლეთში მას "კარმის" კანონი ეწოდება. რაც ნიშნავს "ქმედებას". კარმის კანონის თანახმად ადამიანის ყოველი ქმედება იწვევს მიზეზ-შედეგობრივ ციკლს. აქედან გამომდინარე ნებისმიერი ადამიანის პირადი კარმა არის ყველა წინა ცხოვრებაში განხორციელებული ქმედებების რეზულტატი. ყველა ქმედება: ფიზიკური, გონებრივი, ემოციური, თუ სულიერი ქმნის საპასუხო კარმულ რეაქციას.

აღმშენებლობით და ქველმოქმედებით დაკავებული ადამიანი ქმნის დადებით კარმას. თუ კი ადამიანი ბოროტად იყენებს ნაჩუქარ სიცოცხლეს და ამას ნეგატიურ ქმედებებში ავლენს, მაშინ იგი უარყოფით კარმას ქმნის. (კარმა ქართულად შეიძლება განიმარტოს შემდეგი აფორიზმით – "რასაც დასთეს იმას მოიმკი").

დიდი ჩინელი მასწავლებელი, კონფუცი, გვასწავლის: "სიკეთე და ბოროტება ადამიანს შემთხვევით არ ატყდება თავს. ზეცა გვიგზავნის ბედნიერებას ან უბედურებას ჩვენი ქცევის შესაბამისად".

იუდიურ-ქრისტიანული ტრადიცია ამავე სახის კარმულ პრინციპებს შეიცავს. მაგალითად ძველ აღთქმაში ხსენებული "თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წინ" კარმული ზემოქმედების კონცეპციას გამოხატავს. ახალ აღთქმაში მიზეზისა და შედეგის კანონი აპოსტოლ პავლეს სიტყვებით გამოითქმება "რასაც დასთეს, იმას მოიმკი"

კარმის კანონის თანახმად ჩვენი არჩევანი წინა ცხოვრებაში განაპირობებს მდგომარეობას ამ ცხოვრებაში. მაგ., ფიზიკურად მახინჯი ბავშვის დაბადება, გონებრივი ჩამორჩენილობა, უკურნებელი სენი, უბედური შემთხვევა ფიზიკური ძალების გაფურჩქვნის დროს – უკავშირდება წინა სიცოცხლეში ჩადენილ შეცდომებსა თუ დანაშაულს. გავიხსენოთ ადგილი ახალი აღთქმიდან, როცა მოწაფეები ეკითხებიან მაცხოვარს – "მასწავლებელო, ვინ არის ცოდვილი – ბრმა, თუ მისი მშობელი?" ამგვარი უბედურებები ემართება ადამიანს ამ, თუ შემდეგ სიცოცხლეში იმის განსაცდელად, თუ როგორ გავლენას ახდენს მისი წინა ქმედებანი მომავალზე. ამ გზით სული ეუფლება სიცოცხლისადმი პატივისცემის უნარს.

თანამედროვე მეცნიერები სწავლობენ აღნიშნულ ფენომენს. საოცარი აღმოჩენები გააკეთა კალიფორნიის უნივერსიტეტში ფსიქოლოგმა ალენ ბომბახმა. ქვეცნობიერის სფეროში ორწლიანი გამოკვლევების დროს მან მიაღწია დაგიპნოზირებულთა დაბრუნებას დაბადებამდე და შემდეგ წინა ცხოვრებაში. შედეგად მიღებულია ინფორმაცია იმის შესახებ რით არის დაკავებული "მე" განსხეულებათა შორის. გიპნოზის მონაწილენი სეანსის დამთავრების შემდეგ ადგენდნენ ანგარიშს. ამ წერილობითი ამგარიშების ანალიზმა დაარწმუნა დოქტორი ბომბახი იმაში, რომ ზემოთ მოყვანილი წესი წარმოადგენს სამყაროს მორალურ კანონს – "როგორც გინდათ, რომ მოგექცნენ თქვენ, ისე მოექეცით თქვენ მათ." ჩვენ ისევ და ისევ ვბრუნდებით დედამიწაზე, რათა სრულყოფილად ავითვისოდ გაცემისა და მიღების გამოცდილება.

ამ დარგის ერთ-ერთი ცნობილი სპეციალისტია დოქტორი რაიმონდ მოუდი. თავის გახმაურებულ წიგნში "სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ" დასაბუთებულია სიცოცხლის არსებობა ე.წ. სიკვდილის შემდეგ, ანუ სიცოცხლის არსებობა ფიზიკური სხეულისაგან დამოუკიდებლად. აი ამონარიდი ამ წიგნიდან: "ადამიანი კვდება და იმ მომენტში, როცა ფიზიკური სხეული უკიდურეს მდგომარეობას აღწევს მას ესმის თუ როგორ აცხადებენ ექიმები მის სიკვდილს. მას ესმის არასასიამოვნო ხმები, ზუზუნი, ზარის ხმა და ერთდროულად გრძნობს, როგორ მოძრაობს ბნელ გვირაბში. შემდეგ აღმოაჩენს, რომ იმყოფება ფიზიკური სხეულის გარეთ, შემდეგ კიდევ უფრო საკვირველი რამ ხდება. მასთან მიდიან, ესალმებიან, სთავაზობენ დახმარებას. ჩნდება ვიღაც, რომელიც სითბოს და სიკეთეს ასხივებს და ეკითხება არა სიტყვებით, არამედ აზრით, თუ როგორ აფასებს თვით ადამიანი განვლილ ცხოვრებას. კითხვაზე პასუხის გასაადვილებლად იქვე მომენტალურად, პანორამის სახით, უჩვენებს განვლილი ცხოვრების ძირითად მომენტებს. ხანდახან ადამიანი გრძნობს, როგორ უახლოვდება რაღაც საზღვარს, მაგრამ მაშინვე უჩნდება იმის შეგრძნება, რომ უნდა დაბრუნდეს უკან, რადგან მისი უკანასკნელი საათი ჯერ არ დამდგარა".

დოქტორებმა კარლოს ოსისმა და ერლენდურ სარალდსონმა დაწერეს წიგნი "სიკვდილის საათი". სადაც განხილულია ასობით მაგალითი ადამიანების სიკვდილის წინა მდგომარეობისა და შედეგად მივიდნენ საკვირველ დასკვნამდე: ყველა მათგანის ნაამბობი ძირითადათ ერთი და იგივეა მიუხედავად იმისა, თუ რომელი რელიგიის აღმსარებლები იყვნენ ისინი.

"სიკვდილის" შემდგომი სიცოცხლის თეორია თავისთავად აღძრავს ერთ მნიშვნელოვან კითხვას: არსებობს თუ არა იმის მტკიცებულებანი, რომ სიცოცხლე კვლავ მეორდება სხვა ფიზიკურ სხეულში ხელახალი ცხოვრებისათვის.

განვიხილოთ რამდენიმე შემთხვევა ამ საკითხში გასარკვევად.

დოქტორ იან სტივენსონმა ჩაატარა 16 000-მდე გამოკვლევა რეინკარნაციის ფენომენის შესასწავლად. მას მოჰყავს მაგალითები, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქვეყნებიდან. აი ერთ-ერთი მათგანი.

სიკვდილამდე ერთი წლით ადრე 1946 წელს ალიასკის მკვიდრმა მეთევზე ვიქტორ ვინსენტმა განუცხადა თავის დისშვილს: " მე დავბრუნდები შენი შვილის სახით. იმედი მაქვს, რომ აღარ ვიქნები ისეთი ენა ბლუ, როგორიც ახლა ვარ". მან დისშვილს აჩვენა რამდენიმე ნაიარევი, რომლებიც მისი აზრით ექნებოდა ახალ სხეულზეც, ამასთან განაცხადა: "მე ვიცი, რომ მექნება კარგი სახლი, არ გავიქცევი იქიდან და არ დავლევ არაყს". მისი გარდაცვალებიდან 18 თვის შემდეგ დისშვილს, კორლის ჩეტკინს, ეყოლა ვაჟი ყველა ნაიარევით სხეულის იმავე ადგილებში, სადაც ბიძამის ჰქონდა. როგორც კი ბავშვმა ენა აიდგა, განაცხადა, რომ იგი ყოფილი ბიძაა. როცა მას ორი წელი შეუსრულდა ის უკვე ცნობდა ყველა ყოფილ მეგობრებსა და ნათესავებს, მიმართავდა მათ მეტსახელებით.

დოქტორ სტივენსონს მოყვანილი აქვს ამავე წიგნში 2000-მდე ანალოგიური მაგალითი. ყველა შემთხვევაში იგი ცდილობდა ყოფილიყო ნეიტრალური, ფრთხილი, ობიექტური, როგორც ეს ნამდვილ მეცნიერს ეკადრება. ამან განაპირობა მისი ნაშრომის აღიარება სამეცნიერო წრეებში.

ცოდნა რეინკარნაციის შესახებ ერთ-ერთი უძველესი ცოდნაა ადამიანური "მე-ს" თანმიმდევრული გარდასახვისა სხვა და სხვა ფიზიკურ სხეულებში. ეს ცოდნა გვხდება 6000 წლის წინ შექმნილ ინდურ "ვედებ"-ში. ძველ ეგვიპტურ ე.წ. "მკვდართა წიგნში", ჩრდილო, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკელ ხალხებში. განმეორებადი დაბადების საკითხი განხილული აქვს პითაგორს (როგორც ამბობენ მას ახსოვდა თავისი რამდენიმე წინა დაბადება). გაიუს იულიუს კეისარს ეკუთვნის ფრაზა "სული არ კვდება, იგი სიკვდილის შემდეგ სხვა სხეულში გადადის". ცეზარი ამ საკითხით ბრიტანეთში დაინტერესდა, როცა კელტთა ტომების

რელიგიას გაეცნო.

რეინკარნაციის თეორიასთან ეკლესიის დამოკიდებულება ყოველთვის ერთნაირი არ იყო. ადრეულ პერიოდში რეინკარნაციის მოვლენას ეკლესია შემდეგნაირად ხსნიდა: რადგან ადამიანი არასრულყოფილი არსებაა, ის ერთ სიცოცხლეს სათანადოთ ვერ იყენებს, რომ სრულყოფილობას მიაღწიოს. ამიტომ ღმერთი აძლევს მას დამატებით შესაძლებლობას გამოხატავს რა თავის გულკეთილობასა და შემწყნარებლობას ადამიანის მიმართ.

ცნობილი თეოლოგი, რომელიც ამ დოქტრინას ასწავლიდა იყო ორიეგენ ალექსანდრიელი (185-254 წწ.) მისი ნაშრომები ძირითადათ რეინკარნაციის ტექნიკურ საკითხებს ეხებოდა. ის თვლიდა, რომ ფიზიკური სხეული იმახსოვრებს სულის ქმედებებს წინა ევოლუციურ პროცესში და შემდეგნაირად ხსნიდა ამ ფაქტს: "დავუშვათ, რომ სულს არ ჰქონია წინა ცხოვრება, მაშინ რატომ იბადება ზოგიერთი ბავშვი თანდაყოლილი ფიზიკური ნაკლით (სიყრუე, სიბრმავე და სხვ.) ისინი ხომ უცოდველნი არიან, სხვები კი ნორმალურნი იბადებიან. შესაძლებელია ზოგიერთი ცოდვა ადამიანის დაბადებამდეც არსებობდა და ამის გამო ყოველი სული ისჯება ან ჯილდოვდება განსხეულებებში ქმედებების შესაბამისად".

მსოფლიო ეკლესიის მეხუთე კრებაზე 553 წ., რომელიც იმპერატორმა იუსტინემ მოიწვია, ხმათა მცირე უპირატესობით იქნა მიღებული ედიქტი, რომელმაც დაგმო ორიეგენეს სწავლება რეინკარნაციის შესახებ.

თანამედროვე თეოლოგიაში ორიეგენეს ავტორიტეტი ურყევია ყველა საკითხში, გარდა კარმისა და რეინკარნაციის შესახებ სწავლებისა.

თეოსოფიაში სულის გარდასხეულების აუცილებლობა სამი მიზეზით აიხსნება.

1)ლოგიკური მიზეზი

რეინკარნაციის გარეშე ცხოვრება გაურკვეველი, გადაუწყვეტი ამოცანაა. ადამიანის გონისათვის ყველაფერზე მტანჯველია გარემომცველი სინამდვილის შეუცნობლობის შეგრძნება. ადამიანი ისეა მოწყობილი, რომ ნებისმიერი მოვლენის გადატანა შეუძლია თუ შესძლო მისი გაგება. ჭეშმარიტი უბედურება ადამიანის ცხოვრებისა გაუგებარი და გადაუწყვეტელი პრობლემებიდან გამომდინარეობს, რომლებიც გონსა და სულს სტანჯავს, რადგან თითქოსდა არ ჩანს ლოგიკა ამ დაბნეულ სამყაროში. იქ კი, სადაც არ არის გონივრულობა და წესრიგი წარმოიქმნება იმედიც. გარდასხეულება ფიზიკურ სამყაროს ახსნადს ხდის; ნათელი ხდება ადამიანური ცხოვრების მიზნის არსებობა.

2)მეცნიერული მიზეზი

თანამედროვე მეცნიერება 30 წლის წინათ თვლიდა, რომ აქვს პასუხი ზემოთხსენებულ საკითხზე. ჯერ კიდევ დარვინს ეგონა, რომ უპასუხა ამ კითხვას. დღეს მეცნიერთა უმრავლესობა თვლის, რომ დარვინის თეორია თავის ძირითად დებულებებში შეუძლებელია გავრცელდეს ადამიანის ევოლუციის პროცესზე. ერთი ახსნა უკვე დაიკარგა, სხვა ახსნა კი ნაპოვნი არ არის.

3)ზნეობრივი მიზეზი

პედაგოგებმა და არა მარტო მათ, კარგად იციან, რომ ბავშვი დაბადებიდანვე იპყრობს ყურადღებას გარკვეული ხასიათით, თვისებებით, უნარებითა და ნაკლოვანებებით. ასე ვთქვათ თითქმის მზა ხასიათით. აღზრდას შეუძლია გარკვეული კორექტირების შეტანა, მაგრამ არა მნიშვნელოვანი. როგორც ლუდვიგ ბიუხნერმა თქვა "ბუნება აღზრდაზე ძლიერია" (შესატყვისია ქართული ანდაზისა "ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია"). თუ ადამიანი ერთხელ მოდის ამქვეყნად მაშინ სად არის ღვთიური სამართალი თუ ერთი იბადება იდიოტად, მეორე გენიოსად, მესამე ინვალიდათ, მეოთხე ხარბია, მეხუთე ძლიერი და სულგრძელია და ა.შ. ვინ შექმნა ეს განსხვავება? ღმერთმა? თუ ამას დავიჯერებთ, მაშინ მივალთ უსამართლობამდე და ადამიანურ უიმედობამდე. რატომ არ უნდა ჰქონდეს ყველა ბავშვს ერთი და იგივე საწყისი პირობები? ავიღოთ ერთი ბავშვი, რომელიც მეძავი ქალის მიერ გაჩნდა ლოთი მამისგან, რომელიმე ქალაქის ჯურღმულში. მას ზრდიან ცემითა და გინებით. მას არაფერი სმენია სიყვარულსა და სიკეთეზე. წამოიზრდება თუ არა, რაიმე დანაშაულის გამო შეიძლება ციხეში მოხვდეს. საბოლოოდ სერიოზული დანაშაულისათვის შეიძლება სიკვდილითაც კი დაისაჯოს. სად წავა მისი სული? სამოთხეში თუ ჯოჯოხეთში? ავიღოთ მეორე ბავშვი, რომელიც თუნდაც იმავე ქალაქში კეთილშობილ ოჯახში დაიბადა. იგი ბავშვობიდან გარშემორტყმულია ყურადღებითა და სიყვარულით, იღებს საუკეთესო განათლებას: სკოლიდან გადადის უნივერსიტეტში. ხდება მაღალი პროფესიის სპეციალისტი. აღწევს წარმატებას კარიერეში. საზოგადოებაში პატივცემული ადამიანია. მისი გარდაცვალება ტრაგედიაა არა მარტო ოჯახისათვის და მეგობრებისათვის, არამედ მთელი საზოგადოებისათვის.

რა გააკეთა თითოეულმა მათგანმა? დაიბადა და მეტი არაფერი. ძნელია დაიჯერო იმგვარი უსამართლობა, რომ თითოეული მათგანი

მხოლოდ ერთჯერადი სიცოცხლისათვის შეიქმნა. ბუნებრივია, რომ ბოროტმოქმედი, რომელიც სიკვდილით დასაჯეს ღვთაებრივ სასამართლოზე დასვამს კითხვას: "ღმერთო ასეთი რატომ შემქმენი?" მეორე ადამიანის სულსაც გაუჩნდება იგივე კითხვა. პასუხად არ გამოდგება პავლე მოციქულის მიერ რომაელთათვის გაგზავნილი "განა მექოთნეს არ აქვს ძალაუფლება თიხაზე?" არა, რადგან ადამიანი თიხა არ არის. მას აქვს გრძნობები, აქვს ტანჯვისა და ბედნიერების აღქმის უნარი. არავის აქვს უფლება შექმნას იგი ტანჯვისათვის, გაწიროს უბედურებისა და ავადმყოფობისათვის.

გარდასახვის თეორიის თანახმად ბოროტმოქმედი – ახალგაზრდა ჯერ გაუშლელი სულია – ველური სულია. მეორე კი მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების მქონე სულია. ორივე მათგანი წინა ცხოვრების ნაყოფნი არიან. რეინკარნაცია სიცოცხლის კიბეზე ადამიანის ზესვლის გზაა. თუ ადამიანისათვის ცნობილია რაიმე კანონი, მას შეუძლია იგი არ გამოიყენოს, მაგრამ მის მოქმედებას ვერ გაექცევა.

რეინკარნაციის კანონის ცოდნა ადამიანს ხელს უწყობს მისი ევოლუციის დაჩქარებაში. და არა მარტო საკუთარი, არამედ დახმარების ხელის გაწოდებაც შეუძლია ახლობლებისათვის, მათი ევოლუციის დასაჩქარებლად.

თითოეული ჩვენგანი განვითარებადი, გონიერი არსებაა, რომელიც ცხოვრებათა რიგის გავლით იზრდება ისევე, როგორც თესლიდან აღმოცენდება ნერგი და წლიდან წლამდე იზრდება, ვიდრე ზრდასრულ ხედ არ იქცევა. ველური-ახალგაზრდა სულიერი არსებაა, რომელიც უფრო გვიან განსხეულდა ვიდრე ცივილიზებული ადამიანი. მაგრამ ორივე ღვთაებრივი არსის მატარებელნი არიან. ზრდა და ევოლუცია სხეულებით არ განისაზღვრება, არამედ გონითა და ზნეობით. ველურსა და გენიოსს, ანდა ბოროტმოქმედსა და წმინდანს შორის განსხვავება იმაშია, რომ ერთში ღმერთი მეტად არის გახსნილი, ვიდრე მეორეში, თუმცა იგი ორივეში იმყოფება. მიზანი ერთია – სრულყოფილების მიღწევა, დრო კი ამისთვის სხვადასხვაა. უდიდეს სულს შეუძლია მსხვერპლის ფასად განსხეულდეს დამამცირებელ გარემოში გარკვეული მიზნით, რათა გაამხნევოს დაცემულნი, თავისი მაგალითით უჩვენოს გზა მომავლისაკენ.

განვიხილოთ უფრო დაწვრილებით ბავშვის მცირე ასაკში გარდაცვალების შემთხვევა რეინკარნაციის ეზოთერული თვალსაზრისით. უმრავლეს შემთხვევაში აქ მშობლების კარმაა მიზეზი. მშობლები შვილის გარდაცვალების გამო იტანჯებიან, მაშინ როცა ბავშვს არაფერი დაუკარგავს, რადგან მცირე ხნის შემდეგ შეუძლია კვლავ განსხეულდეს მისთვის შერჩეულ სხეულში. შესაძლებელია წინა ცხოვრებაში მშობლები ცუდად ექცეოდნენ სხვის ბავშვებს, ან სასტიკად მოეპყრნენ უპატრონოს. ამგვარი სისასტიკე ან სიყვარულის არ ქონა იწერება ბუნების წიგნში ვალის სახით. ეს ვალი იფარება მომავალ ცხოვრებაში ნანატრი შვილის გარდაცვალებით. მშობლები კი ამით სწავლობენ სინაზესა და სიყვარულს სხვა ბავშვების მიმართ.

რატომ გვიყვარს და გვძულს? ამის ახსნა წინა ცხოვრებაში იმალება. ბევრს ჰგონია, რომ რეინკარნაციათა ციკლი გვაშორებს მათ, ვინც გვიყვარს. ეს ასე არ არის. ჯერ ერთი ხანგრძლივი ზეციური სიცოცხლის მანძილზე, რომელიც შეიძლება ათასი წელიც კი გაგრძელდეს ჩვენ იმ ადამიანთა წრეში ვიმყოფებით ვინც დედამიწაზე გვიყვარდა. ხოლო დედამიწაზე ვბრუნდებით ისევ ერთად (თუ ამის სურვილი გვაქვს). ეზოთერიკოსებმა იციან, რომ ცოლქმარი, მეგობრები და ნათესავები ხშირად ერთდროულად განსხეულდებიან ხოლმე. არ არსებობს ძალა, არც მიწაზე და არც ზეცაში, რომელსაც სიყვარულით შექმნილი კავშირის გაწყვეტა შეეძლოს.

თუ რაიმე მიზეზით (მაგ. გარკვეული მისიის შესრულების მიზნით) ახალბედა სულები სხვადასხვა ქვეყნებში განსხეულდებიან, სურვილის შემთხვევაში ხშირად ხდება მათი კვლავ შეერთება სხვადასხვა გვარი ნათესაური კავშირების სახით. უკან ამ ქვეყნად ვბრუნდებით მეგობრებთან და მტრებთან ერთად. ალბათ შეგიმჩნევიათ შემდეგი რამ: ზოგჯერ უცხო ადამიანის დანახვა და საუბარი ისე სწრაფად გაახლოებთ მასთან, თითქოს თქვენი ოჯახის წევრი იყოს და საპირისპიროდ; არ იცნობთ ადამიანს და მაინც არავითარი სურვილი არ გაქვთ მისი გაცნობისა, დისკომფორტსაც კი განიცდით მის გვერდით.

სხეულები ნებისმიერად იცვლებიან, რადგან განსხეულებათა რიგს გადავყავართ ერიდან ერში, ქვეყნიდან ქვეყანაში, ისე რომ ნაცნობი სულები არ კარგავენ ერთმანეთთან კავშირს. გარდასხეულება მეგობრობას მუდმივს ხდის, ჩვენ კი გვაძლიერებს და ამ ძალით ყველაფრის გადატანა შეგვიძლია. როცა ვიცით სიცოცხლის მიზეზი და მიზანი, შესაძლებელია ნებისმიერი განსაცდელის მოთმენა. მართლაც, როგორ შეიძლება მარადიული არსება რამეზე დარდობდეს ან იტანჯებოდეს.

გვებადება კითხვა: რატომ არაფერი არ გვახსოვს? თუ უკვე მრავალჯერ განვსხეულ-

დით რატომ არაფერი არ გვახსოვს? მოდით ვუპასუხოთ ამ კითხვას: ჩვენს მიმდინარე ცხოვრებაში უამრავი რამ გვავიწყდება. სიბერეში უკან რომ მოვიხედავთ, მთელი განვლილი ცხოვრებიდან მხოლოდ ორ-სამ ათეულ ეპიზოდს თუ გავიხსენებთ, მეტს ვერაფერს.

მაგრამ, თუ ადამიანს ჰიპნოზური ტრანსის მდგომარეობაში ჩავაყენებთ, მაშინ იგი მთლიანად დეტალებში გაიხსენებს წარსულ ცხოვრებას. ეს იმიტომ ხდება, რომ ყველაფერი ინახება მეხსიერებაში. ამ თემაზე უამრავი ექსპერიმენტია ჩატარებული. ადამიანებს ეკითხებიან თვეების წინ გარკვეულ რიცხვში სადილის მენიუს შესახებ და ისინი უშეცდომოდ პასუხობენ ყოველი წვრილმანის გათვალისწინებით. სხვები გიპნოზის მდგომარეობაში იხსენებენ დიდი ხნის წინ დაკარგული ნივთის ადგილსამყოფელს, ბავშვობაში ნასწავლი და მთლიანად დავიწყებულ უცხო ენას და სხვ. ამ ფაქტორის ახსნა შემდეგნაირად შეიძლება. ტვინის ნერვიულ უჯრედებში ვიბრირებადი ძალა, რომელიც მეხსიერების ფიზიკურ გამოვლენას წარმოადგენს, შემცირდა. შემცირდა ამით უჯრედების აქტიურობაც, რამაც დავიწყება გამოიწვია. ნერვიული უჯრედები ჯგუფურად მოქმედებენ. ხანდახან, რაიმე სახის მოვლენა, მაგ., სუნი ბიძგს აძლევს მიძინებულ მეხსიერებას და შედეგად ამოტივტივდება ცხოვრების ის ეპიზოდი, რომელშიც ხსენებულ სუნს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. დავუბრუნდეთ კითხვას: რატომ არ გვახსოვს წარსული ცხოვრებები?

ამ ცხოვრებაში ჩვენი ტვინი, გონება და გრძნობათა სხეული ახალია და მას დაამახსოვრდება მხოლოდ ამ ცხოვრებაში განცდილი ფიზიკური, ემოციური თუ გონებრივი მოვლენები. მხოლოდ უკვდავ სულს, რომელიც ჩვენშია (ანუ ჩვენ) გვახსოვს ყველაფერი ყველა წინა ცხოვრებიდან, რადგან მასში ყველა განცდა ცოცხალია. მაგრამ სულს არ გადააქვს მოგონებები ერთი ფიზიკური სხეულიდან მეორეში. მას ყოველ განსხეულებაში ახალი გამოცდილებები აინტერესებს. მიმდინარე ცხოვრებაში ჩვენი შემეცნებითი ძალები ყოველთვის შიგნიდან გარე სამყაროში არის მიმართული. ჩვენი ინტერესები, აზრები აქეთ არის მიმართული, ანუ ჩვენი მარადიული სული გარე სამყაროს შემეცნებისკენ არის მიმართული. ჩვენ შეგვიძლია გახსენება მხოლოდ მაშინ, როცა შევძლებთ სულის გაცნობიერებას. მხოლოდ სულმა (ეგომ) გამოიარა ყველა წარსული ცხოვრება და ყოველი მორიგი მიწიერი სიცოცხლის დამთავრების შემდეგ ზეცაში ახდენს მიღებული გამოცდილებების გარდაქმნას უნარებად, რომლებიც სულიერ საგანძურს ემატება. ეს უნარები შემდეგ ცხოვრებაში ახალ ფიზიკურ სხეულსა და ტვინში ვლინდება. მარტივად, რომ ვთქვათ ყოველი მიწიერი ცხოვრების შემდეგ სული მიღებული გამოცდილებების ბალანსს ადგენს და ხურავს წარსული ცხოვრების დავთარს, მაგრამ წარსული კი არ იკარგება, არამედ ინახება მის მეხსიერებაში. ბალანსი გადადის ახალი ცხოვრების დავთარში და ამ ბალანსს გონებისა და სინდისის სახე აქვს.

ვიცხოვროთ სულიერი ცხოვრებით, დავინახოთ ჩვენი ღვთაებრივი წარმოშობა და შევძლებთ საკუთარი სურვილით აღვადგინოთ ჩვენი წარსული. მიჩნეულია, რომ ზოგიერთ ისტორიულ პიროვნებას ახსოვდა საკუთარ განსხეულებათა მთელი ჯაჭვი. მაგ. პითაგორას, არისტოტელს, ნიუტონს, გრაფ სენ-ჟერმენს, ვოლფ მესინგს და სხვებს.

ზოგიერთმა ჩვენგანმა საკუთარი გამოცდილებიდან იცის, რომ ზემოთქმული სიმართლეა და ეს უდიდესი სულიერი ძალისხმევის ხარჯზე მოახდინა. ამიტომ შეიძლება საკითხი სხვანაირად დავსვათ: განა ცუდია, რომ ჩვეულებრივ ადამიანს წარსული სიცოცხლე არ ახსოვს? გავიხსენოთ რა თქვა გოეთემ " სიკვდილის" წინ.

"რა დამამშვიდებელია იმაზე ფიქრი, რომ ამ ქვეყნად წარსულისგან განბანილი დავბრუნდები". რამდენად ბედნიერი იქნებოდა ადამიანი, ზოგიერთი რამის დავიწყება რომ შეეძლოს ამ ცხოვრებიდან.

ვიდრე ჩვენ სულიერად არ გავძლიერდებით იმ დონემდე, რომ აწმყო ცხოვრების მიერ მოყენებული უსიამოვნების გადატანა შევძლოთ და მივიღოთ ეს ცხოვრება, როგორც ზეცის მიერ მოცემული გაკვეთილი წუწუნის, მრისხანებისა თუ უკმაყოფილების გარეშე, მანამდე არ უნდა ვინატროთ წარსულ სიცოცხლეთა შესახებ მეხსიერების აღდგენა.

ჩვენ ახალი სხეულები, ახალი ტვინი, ახალი გონი გვაქვს და სული მხოლოდ იმით გვასაჩუქრებს, რაც მიმდინარე ცხოვრებისათვის სასარგებლოა. როცა ჩვენ "ეგოს" მეხსიერებას მივაღწევთ, როცა ცნობიერებაში ნათლად აღვიქვავთ, რომ სული ვართ და არა ფიზიკური სხეული, მაშინ შევძლებთ იმ სულიერი ტვირთის ტარებასაც, რასაც წარსული ცხოვრების ცოდნა ჰქვია.

აზრები რეინკარნაციის შესახებ

1) პითაგორა – "წინა ცხოვრებაში მე მერკურისგან (სიბრძნის ღმერთი) საჩუქრად ჩემი სულის ტრანსმიგრაციის ცოდნა მივიღე. ცოდნა ყველა წარსული და მომავალი ცხოვრების, აგრეთვე ყოველ სიკვდილსა და დაბადებას შორის ზეციური ყოფისა".

2) ვალტერ სკოტი – "გუშინ სადილობის დროს დამეუფლა უცნაური გრძნობა წინარე არსებობისა, გრძნობა იმისა, რომ ყოველივე რაც ჩემს ირგვლივ ხდებოდა მანამდეც მომხდარა".

3) ბერნარდ შოუ – "მარადიული სიცოცხლე გრძელდება. სული ცვეთავს სხეულებსა და ტვინს და როგორც ტანსაცმელს ისე იცვლის მათ"

4) რეიდერ ხაგარდი – "ჩვენ დავიძინებთ და რა თქმა უნდა გავიღვიძებთ და ვიცხოვრებთ ისევ, შემდეგ ისევ დავიძინებთ. ასე გაგრძელდება დროისა და სივრცის პერიოდებში. სამყაროც დაიღუპება და არაფერი დარჩება ცოცხალი, გარდა სულისა, რომელიც თვითონ არის სიცოცხლე".

5) არტურ კონან-დოილი – "სად ვიყავით ჩვენ დაბადებამდე? განვითარების სისტემაში, რეინკარნაციის გზაზე, დასვენების ინტერვალებით რეინკარნაციებს შორის. ეს არსებობები ალბათ ციკლს წარმოადგენენ, რომელიც ჩვენთვის საცნაური ბოლოში გახდება. მაშინ ალბათ დავინახავთ ერთ სულზე ასხმულ მრავალ სიცოცხლეს."

6) ჰაინრიხ ჰაინე – "ვინ იცის, რომელი მკერავის სხეულში იმყოფება ახლა პლატონის სული, სკოლის რომელ მასწავლებელში ზის ცეზარის სული, შეიძლება პითაგორას სული იმ საცოდავი მოსწავლის სხეულშია, რომელმაც ორიანი პითაგორას თეორემის არ ცოდნის გამო მიიღო".

7) ვოლტერი – "ორჯერ დაბადება ერთხელ დაბადებაზე საკვირველი არ არის".

8) ვიქტორ ჰიუგო – "მე სული ვარ, მე ვიცი, რომ რასაც საფლავში დავტოვებ მე არ ვარ. ჩემი მე ღმერთთან წავა. ყოველ ჯერზე, როცა ვკვდებით უფრო მეტ სიცოცხლეს ვეუფლებით. სული გადადის ერთი სფეროდან მეორეში, ისე რომ არა თუ კარგავს თავის ინდივიდუალობას არამედ უფრო ნათლდება. მე ვგრძნობ მომავალ სიცოცხლეს. რაც უფრო ვუახლოვდები დასასრულს, მით უფრო მკაფიოდ მესმის იმ სამყაროთა უკვდავი მელოდიები, რომლებიც მიხმობენ. რაც უფრო მცირდება სხეულის ძალა, მით უფრო მეტად ბრწყინავს სული. ეს საოცარია და ამავე დროს მარტივიც. საფლავი ჩიხი არ არის: ის გასასვლელია. იგი იკეტება დაღამებისას და კვლავ იხსნება განთიადისას".

9) გუსტავ ფლობერი – "მე მგონია, რომ ყოველთვის ვარსებობდი. მე ნათლად ვხედავ ჩემს თავს ისტორიის სხვადასხვა დროში, სხვადასხვა ხელობისა და ბედის ადამიანად".

10) რომენ როლანი – "არც შექსპირს, არც ტოლსტოის არაფერი უთქვამთ ჩემთვის ახალი, გარდა "სეზამ გაიღე"-სი. რაც ჩემს საკუთარ მიწისქვეშა ქალაქს ეხება, ჩემს გერკულანუმს. არაერთხელ წარმომითქვამს ზეპირად, თუმცა არასრულად აზრობრივი გაკვეთილი, რომელიც ალბათ მრავალი წინარე არსებობისას შევიძინე".

11) ედგარ პო – "ჩვენ დაებორიალებთ ჩვენივე მიწიერი არსებობის მრავალ ბედთა შორის. თან გვახლავს ბუნდოვანი მოგონებანი უფრო ზოგად ბედზე, შორეულზე, უსასრულოზე და დიდებულზე. ჩვენი ახალგაზრდობის პერიოდი სავსეა ამგვარი სიზმრებით. მაგრამ ჩვენ არასდროს ვცდებით, ჩვენ ვიცით, რომ ეს სიზმრები არ არის. ჩვენ ვიცით, რომ ეს – მოგონებებია. მოზარდობის წლებში მათი სიცხადე იმდენად დიდია, რომ ჩვენ ერთი წამითაც არ ვტყუვდებით".

****